899.962.1(09)
ქ-643

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირინე კობახიძე

სომხური ლიტერატურის (XX ს. 20-30-იანი წლები) საკითხები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირინე კობახიძე

სომხური ლიტერატურის (XX ს. 20-30-იანი წლები) საკითხები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით კოტორაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)

ოფიციალური ოპონენტები: 1. ლუიზა ბოჩკოვა ხვიჩია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.01)

2. იზოლდა ბერაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი (10.01.01)

3. ბონდო არველაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „17" „ივნისი" 13[30] საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P.10.10.№4) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი№1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2

ავტორეფერატი დაგზავნილია 2006 წლის „13 02"

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
პროფესორი (ნ. ტაბიძე)

Библиотека
ТГПУ им. Акад. Пед. Института
им. Ив. Джавахишвили

- 9065 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: დღეს როდესაც კარდინალურად ხდება მსოფლიო გადანაწილება, სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა გადაფასება, ბუნებრივია, ადამიანი იწყებს უკვე კონკრეტული გზებისა და საშუალებების ძიებას ამ ფასეულობათა გადასარჩენად. ჭკვიანი მტრებისა თუ ბრიყვი მოყვრების ხრიკები შეუძლებელს ხდის ნორმალურად, მშვიდად ცხოვრებას. ისინი იმპერიულ თუ ეგოისტურ ზრახვათა დაკმაყოფილებისათვის არ ერიდებიან ეთნოკონფლიქტების გაჩაღებას, ხალხის მტრულად ურთიერთგადაკიდებას, ცილისწამებას, ისტორიულ ჭეშმარიტებათა გაყალბებას. ცხადია, ფაქიზი და ფრთხილი მიდგომაა საჭირო ამ პრობლემის დადებითად გადასაწყვეტად. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ათასგზის თქმულ ჭეშმარიტებას, რომ არა მარტო სიტუაციის განმუხტვის, არამედ უკვე გაჩაღებული ცეცხლის ლიკვიდაციის ბერკეტები ძირითადად მხოლოდ ხელოვნების, მხოლოდ მწერლობის ხელშია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლიტერატურულ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების განმტკიცების მნიშვნელობა ჩვენს სინამდვილეში.

გეო-პოლიტიკური ფაქტორის გამო ქართული კულტურა, თვითმყოფადობის პარალელურად, მდიდრდებოდა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ცივილიზაციებთან კონტაქტების გზით, ანუ „მათ თავად შექმნეს ისეთი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომი დასაბამი მისცა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მრავალი ქვეყნის კულტურულ განვითარებას" (რ.თვარაძე); ესე იგი გაჩნდა ფართო სპექტრი ხალხთა მხატვრულ-კულტურული ურთიერთობისა. ნაშრომში ყურადღება მახვილდება მხატვრულ-ლიტერატურულ პროცესსა და საზოგადოებრივ მოვლენათა შორის ორგანულ კავშირზე ქართულ სინამდვილეში და მეზობელ ხალხთა ლიტერატურებში. როგორც ცნობილია, ამგვარი რთულ პროცესში „...ბუნებით მსგავსი სტადიები წარმოქმნიან სამყაროს მხატვრული ხედვის, გარკვეულწილად მსგავს ტიპებს, ამ კანონზომიერებათა გამოვლინებები აღინიშნება ტერმინით „ისტორიულ-ტიპოლოგიური თანხვედრები" ან „ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალოგიები" (სვ.კოშუტი). აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობა თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ აქტუალურად მიგვაჩნია და კვლევის საგნად აღებულია XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ ჟურნალებში დაფიქსირებული ძირითადად ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი მრავალფეროვანი მასალა, რადგან გამოქვეყნებულ მასალათა შორის სწორედ ამ ორი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობა სჭარბობს სხვებს (იხ. სათანადო ლიტერატურა). როგორც აღნიშნავენ: „თხუთმეტი საუკუნის